მთავარი წყარო ამ შემთხვევაშია დიდი სტრაბონია, რომელსაც შეუთვინებია ანტიკური მწერლობის არა ერთი ძეგლის ცნობა ჩვენთვის საინტერესო საგანზე: იასონისა და მისი თანამგზავრების ეს მეტად შორეული ლაშქრობა მიმართულია კავკასიონთან მდებარე ქვეყნებისაკენ (XI, თ. V, § 5); თავდაპირველ მიზანს კოლხეთი შეადგენს; აქედან „იასონმა და თესალიელმა არმენმა მიაღწიეს კასპიის ზღვას და გაიარეს იბერია, ალბანია და არმენიისა და მედიის მრავალი ნაწილი“ (XI, თ. IV, § 8); კოლხეთიდან არმენიასა და მედიის იასონი მივიდა, ერატოსთენეს ცნობით, ხმელეთის გზით (I, თ. III, § 2); ალექსანდრე მაკედონელის ომების მონაწილეთა კირსილ ფარსალიელისა და მედი ლარისაელის სიტყვით, არმენიამ თავისი სახელი მიიღო არმენისაგან, რომელმაც არმენია დალაშქრა იასონთან ერთად და რომელიც წარმოშობით იყო თესალიის ქალაქ არმენიიდან... არმენის თანამგზავრთა თუ ამხანაგთაგან ზოგმა დაასახლა აკილისენა, ზოგმა — სისპირიტიდა (XI, თ. IV, § 8 და იმავე წიგნის თ. XIV, §§ 12—13); მედეა იასონთან ერთად მბრძანებლობდა მედიაში, რომლის სახელწოდების შესახებ სტრაბონისათვის ცნობილი ყოფილა ორი ვერსია: ა) იგი მომდინარეობს მედეას სახელისაგან, ბ) იგი შერქმეულია, თავისი სახელის მიხედვით, მედის მიერ, რომელმაც ამ ქვეყანაში დაიმკვიდრა ხელისუფლებ-

ბა (XI, თ. XIII, § 10); შავი ზღვის ნაპირზე, კოლხეთის ჩრდილოეთით, ახლა დასახლებულია იასონის ფთიოტ-ახეველი რაზმელების მიერ⁽¹⁾, ხოლო ჰენიოხია — ლაკონელი რაზმელების მიერ, რომელთაც წინამძღოლობდნენ დიოსკურების მეეტლეები — „ჰენიოხები“ — კრეკა (|| ჰრეკა) და ამფისტრატი; „ამათვან მიიღეს, ალბათ, თავისი სახელი ჰენიოხებმა“ (XI, თ. II, § 12); დასასრულ, „იასონისა და ფრიქსეს ლაშქრობანი“ შეეხნენ პონტოსსაც (I, თ. II, § 39): ვგონებო იასონის თანამგზავრთავანი იყო აუტოლიკი, რომელსაც სინოპელები სთვლიდნენ ქალაქის დამაარსებლად და თავყვანს სცემდნენ როგორც ღმერთს; აქვე იყო მისი ორაკული (XII, თ. III, § 11); ამასტრეას ერთი შემადგენელ ნაწილთავანი სახელდებულია ფრიქსეს ძის კიტორის მიხედვით; ამ ცნობისთვისაა დამოწმებული ეფორი (იქვე, § 10).

რიგი წყაროები შეიცავენ თხრობის ვარიანტებს ან ავსებენ მას. დიოდორე სიცილიელით, ზოგნი, ათენელების გულის მოსაგებად, მოუთხრობენ რომ მედეა ჩავიდა კოლხეთში თავის შვილ მედ ეგეისძესთან ერთად; მედმა მოჰკლა აიეტის ძმა პერსი და დაუბრუნა აიეტს ტახტი. შემდეგ მედმა გაიარა პონტოს ზემოთ მდებარე აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი და დაიკავა მედია, რომელმაც მერმე სახელი მიიღო მისგან (IV, თ. 56, §§ 1—2). აქ, ყოველ შემთხვევაში, კოლხეთისა და მედიის ამბებიდან სავსებით გამორიცხულია იასონი!

პ. მელა-თი ჰენიოხების ქვეყანაში დიოსკორიადა დაარსებულია კასტორისა და პოლუქსის (ე. ი. დიოსკურების) მიერ (I, 111), გ. პლინი სეკუნდის ზოგიერთი წყაროს ცნობით კი ეს ქალაქი დაარსებულია არა დიოსკურების, არამედ მათი მეეტლეების მიერ, რომელთაგანაც წარმოშობილია ჰენიოხების ტომი (VI, §§ 15—16).

ამრიგად: 1. ციკლი გეოგრაფიულად მოიცავს კავკასიისა და მის სამხრეთით მომიჯნავე ქვეყნების თითქმის ყველა სახელმწიფოებრივ წარმონაქმს თუ თემს და ზოგს მთავარ ქალაქს; 2. იასონისა და „იასონიანთა“ ღვაწლი სამხედრო-პოლიტიკური და დიპლომატიური ხასიათისაა: ომებით იპყრობენ ქვეყნებს, აარსებენ სახელმწიფოებსა და ქალაქებს, ჰქმნიან საერთაშორისო კავშირებსა და, საგონებელია, მთელ სისტემასაც; ზოგ შემთხვევაში საუბარია ქვეყნების დასახლებისა და ცალკე ტომთა წარმოშობის შესახებ; 3. ციკლის ამბების ბაზა კოლხეთშია, სადაც იასონისა თუ მედის ღვაწლის შედეგად ხდება გარკვეული პოლიტიკური მდგომარეობის რესტავრაცია და სამეფოს ტერიტორიის ზრდა; 4. ვარდა ამისა: ა) იასონი ჰკრავს პოლიტიკურ კავშირს ალბანელებთან, რომელნიც წარმოშობით იტალიელნი (დიო კასით—მასაგეტები...) არიან, ბ) არმენი აარსებს არმენიას, იასონის სიკვდილის შემდეგ, და აძლევს მას თავის სახელს, გ) მედეა და მედი, თუ მარტო მედი, აარსებენ მედიის სახელმწიფოს და ქალაქ მედიას და აძლევენ მათ თავიანთ სახელებს, დ) ქალაქ დიოსკურიას აარსებენ ან დიოსკურები, რომელნიც აძლევენ მათ თავიანთ სახელს, ან „მეეტლეები“, ე) ჰენიოხები ღებულობენ წინამძღოლად „მეეტლეებს“ ან წარ-

⁽¹⁾ ახეველების შესახებ სტრაბონთან იხ. სხვა ვარიანტიც, IX, თ. II, § 42, რასთანაც თანხმობაში იმყოფება აპიანე, „ომები მითრიდატთან“, 67 და 102.

მოშობილიც კი არიან მათგან; სხვა ვერსიით—ჰენიოხია დასახლებულია ლაკონელი რაზმელების მიერ, ვ) ახვა დასახლებულია ფთიოტ-ახვეელების მიერ, ზ) პონტოს მთავარი ქალაქი სინოპი დაარსებულია აუტოლიკის მიერ, თ) ამასტრეას კიტორი სახელს დებულობს ფრიქსეს ძის კიტორისაგან, ი) აკილისენა და სისპირიტიდა დასახლებულია არმენის ამხანაგებით, რომელთა სახელები მოხსენებული არ არის. კითხვაზე, თუ ვინ იყვნენ აკილისენასა და სისპირიტიდას „პირველმოსახლენი“, ჩვენ ვერ ვპოულობთ თქმულებაში პირდაპირ პასუხს ისევე, როგორც კითხვაზე, თუ რა გააკეთეს იასონმა და მისმა თანამგზავებმა იბერი-აში. უფრო სწორედ, იბერიის შესახებ, ამ მხრივ, გარდმოცემა სრულიად დუმს. ეს მით უფრო საკვირველია, რომ იასონის ლაშქრობათა ბაზასთან, კოლხეთთან, ყველაზე უფრო ახლოს გეოგრაფიულად, ეთნიკურად, ისტორიულად და კულტურულად სწორედ იბერია იდგა.

ამ თვალსაზრისით ნაკლს ავსებს სახელგანთქმული ტაციტი. „ანალებში“ (VI, 33—34) ტაციტი დაწვრილებით მოგვითხრობს იბერიისა (ქართლის) და მისი სამეფო სახლის ამბებს I ს. პირველი ნახევრიდან, ახ. წ., კერძოდ—თუ როგორ დაიპყრო იბერიის მეფემ ფარსმანმა არმენია (სომხეთი) და როგორი ბრძოლები გადაიხადა მან ამის გამო პართელების წინააღმდეგ. ქართველ-პართელების ერთი ბრძოლის აღწერაში ტაციტი ამბობს რომ პართელების ძალას ცხენოსანი ჯარი შეადგენდა, მაშინ, როცა ქართველთა მეფე „ფარსმანი ძლიერი იყო ქვეითობითაც; ვინაიდან იბერები და ალბანელები (ალბანელთა ერთი რაზმი თან ჰყავდა მოკავშირედ ფარსმანს, ს. ჯ.), რომელნიც მთიან ადგილებში ცხოვრობდნენ, უფრო მიჩვეული იყვნენ (ცხოვრების) სიმკაცრესა და ამტანობას. ისინი ამბობენ რომ წარმოიშვნენ თესალიელებისაგან იმ დროს, როცა იასონი, რომელმაც მოიტაცა მედეა და შვილები იყოლია მისგან, შემდეგ დაბრუნდა აიეტის დაცარიელებულ სასახლეში უმეფოდ დარჩენილ კოლხებთან. და, მართლაც, [იქ] ბევრი რამ მოწმობს მის სახელსა და ფრიქსეს ორაკულს; არავის არ მიაქვს (იქ) მსხვერპლად ვერძი, რადგანაც სწამთ რომ მან მოიყვანა ფრიქსე“... ზერელე წაკითხვით ტაციტი თუ მისი წყარო შეიძლება ისედაც გავიგოთ რომ აქ საუბარია არა მარტო იბერების, არამედ აგრეთვე ალბანელების წარმოშობის შესახებ. იქნებ ასე მოუვიდა პლინის, რომელიც გვამცნობს: „ალბანელები, გარდმოცემით, წარმოშობილი არიან იასონისაგან“ (VI, 38)⁽¹⁾.

მაგრამ თუ ჩავუკვირდებით ტაციტს, დაერწმუნდებით, რომ ცნობა თესალიელებისაგან და, სახელდობრ, იასონისაგან (გაითვალისწინეთ პლინის გამოთქმა!) წარმოშობის შესახებ განეკუთვნება მხოლოდ იბერებს (რომელნიც აქ კოლხებთან მჭიდრო კავშირში არიან წარმოდგენილნი) და, უფრო ვიწროდ, იბერიის სამეფო სახლს: ა) თხრობის მთავარი გმირები სწორედ ესენი არიან, ბ) თქმულების სარწმუნოების საბუთები საქართველოს რეალიებია. ამისთვის მოვიგონოთ სტრაბონის ცნობები: „არსებობს ორივე ლაშქრობის ძეგლებიც:

⁽¹⁾ არ არის გამორიცხული კალმის შეცდომის შესაძლებლობაც პლინისთან: იბერების ნაცვლად ალბანელები! ამას გვაფიქრებინებს უშუალოდ მომდევნო ფრაზა, სადაც დასახლებული ხალხის სამხრეთ მიჯნად ნაჩვენებია ხაზი, „რომელიც შეადგენს არმენიისა და იბერიის საზღვარს“.

ფრიქსესი—კოლხიდისა და იბერიის მიჯნაზე, და იასონისა, რომელთაც უჩვენებენ არმენიისა, მედიისა და მათი მეზობელი ქვეყნების მრავალ ადგილას“ (I, თ. II, § 39); კოლხიდის „დასახელებული მდინარეების ზემოთ მოსხების ქვეყანაში არის ლევკოთეას ტაძარი, რომელიც ააგო ფრიქსემ, და მისი ორაკული, სადაც არ მიაქვთ მსხვერპლად ვერძი... თუ როგორ სახელგანთქმული იყო ძველად ეს ქვეყანა, გვიჩვენებს მითები, რომელნიც მოგვითხრობენ იასონის ლაშქრობაზე, მედიასაც-კი რომ მიადწია, და ფრიქსეს წინამორბედ ლაშქრობაზე... იბერიაში არის აგრეთვე პატარა ქალაქი, „ფრიქსეს ქალაქი“, ეხლანდელი იდეესა, კარგად გამაგრებული დაბა კოლხეთის საზღვარზე“ (XI, თ. II, § 17—18). განსაკუთრებით ნიშანდობლივია ცნობა რიტუალური აკრძალვის შესახებ—იგი მხოლოდ საქართველოსთანაა დაკავშირებული... ტაციტთან ყურადღებას იქცევს: იასონს ჰყავს მედეასგან შვილები და, საგონებელია, მათთან ერთად ბრუნდება კოლხეთში; აიეტის სასახლე დაცარიელებულია, ხოლო კოლხები უმეფოდ არიან,—საგონებელია რომ აიეტი მკვდარია და იასონი იჭერს მის ადგილს (ასეთივე შეხედულება თითქოს ჩანს სტრაბონთანაც, XI, თ. II, § 18); არაფერია ნათქვამი იასონის ლაშქრობაზე მეზობელ ქვეყნებში და ამავე დროს იასონიანები მიჩნეული არიან იბერების წინაპრებად. ამგვარ შეხედულებას საფუძვლად უნდა ედოს კონცეფცია იბერია-ქართლის გარკვეული ერთობის შესახებ, რაც მოგვაგონებს „ქართლის მოქცევისა“ და სხვა, მასზე დამოკიდებული, ქართული წყაროების ანალოგიურ კონცეფციას... ტაციტის ცნობებს ეთანხმება და ავსებს სტრაბონის ერთი საყურადღებო ჩვენება: ... „ფიქრობენ, რომ მედიელები და არმენიელები ენათესავენ იან თესალიელებსა და იმათ, ვინც იასონისა და მედეასგან ჩამომავლობს“ (XI, თ. XIV, § 14). იასონისა და მედეას ნაგულისხმევი ჩამომავლობისაგან მედიელებსა და სომხებს გამოორცხავს ეს ციტატა, ხოლო ალბანელებს, პონტოელებს, ჰენიოხებსა და ახვეელებს ზემოთმოტანილი ცნობები. დაგვრჩნენ კოლხეთი, იბერია, აკილისენა და სისპირიტიდა.

საკუთრივ იასონის შთამომავლობიდან არსებითად გამოსარიცხი არიან: აკილისენა,—თავისი გეოგრაფიული და ისტორიული მცირე მნიშვნელობის გამო აკილისენას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო ეთნარქად იასონი დაეჩემებინა, და კოლხებიც, რომელთაც საკუთარი ეთნარქი ჰყავთ: ა) კოლხები წარმოშობით ეგვიპტელები არიან (ჰეროდოტე), ბ) კოლხებმა მიიღეს თავისი სახელი ფასიდის ძის კოლხისაგან (მნასეა, თეოკრიტეს სქოლიასტთან), გ) პონტოს ხალხებისა და ქვეყნების უუძველესი მეფე იყო აიეტი (ფლორი), დ) ხუთ მზეთაგან ერთი იყო კოლხის შვილი, რომლისგანაც დაიბადნენ კირკა, მედეა და ფაეთონი (ამპელი) და სხვა... ეხლა ის-ღა უნდა განვსაზღვროთ, თუ რა მიმართებაშია სისპირიტიდას ეთნარქი იბერიის ეთნარქთან?

სტრაბონი იასონის რაზმის შემადგენლობას ასე განსაზღვრავს: „იასონი თავის თანამგზავრებით“, „იასონი თესალიელ არმენთან ერთად“, „არმენი და მისი ამხანაგები“, „არმენი იასონთან ერთად“, „არმენის თანამგზავრები“. ცნებები „იასონის თანამგზავრები“ და „არმენის თანამგზავრები“ ერთმანეთს ჰფარავენ და გამოთქმა „იასონის თანამგზავრები“ პირველ რიგში ჰგულისხმობს არმენს, ხოლო „არმენის თანამგზავრები“—პირველ რიგში იასონს. ამრიგად,

როცა აკილისენასა და სისპირიტიდას ეთნარქებზეა საუბარი, ერთერთი მათგანისათვის მაინც მამათმთავრად იასონი უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც ზემოთ იბერების ეთნარქად მივიჩნევთ. რით აიხსნება ეს წინააღმდეგობანი, დადუმებული ან ბოლომდე ართქმული ამბები და გაურკვევლობა იბერიასა და სისპირიტიდას გარშემო?

სახელწოდებათა ფორმები „იბერი“ და „იბერია“ IV ს-დან არის დადასტურებული. უფრო ადრე მათ ნაცვლად ვხვდებით „სასპერ“- „სასპერ“- „ჰესპერიტ“-ს ხალხისათვის; ხოლო „სისპირიტიდა“ ამავე ხალხის ტერიტორიას აღნიშნავს ([1], გვ. 655—666). ამიტომ, თქმულების უძველეს რედაქციაში იბერი, იბერია არც შეიძლება ყოფილიყო, მათი ადგილი იქ სასპერ-სისპირიტიდას უნდა სჭეროდა. ამ ნიადაგზე ხდება შემდეგში აღრევა. ხალხმა ადგილობრივ შეინარჩუნა თქმულება, მაგრამ მასში ეთნიკური სახელწოდების ახალი ფორმა ჩასვა—გაჩნდა იასონი, იბერების მამათმთავარი. ბერძნული მწერლობა კი, რომელმაც დაპყრობა ხსოვნა სასპერ-იბერების იგივეობის შესახებ, დადგა გარდმოცემის ძველი რედაქციის ცნობის (იასონი, სასპერ-სისპირიტიდას მამათმთავარი) წინააღმდეგობის წინაშე ახალ ცნობასთან... იმავე მწერლობისათვის იყო ერთი სიძნელეც: ცნობილი რეალები იასონის, როგორც ეთნარქის მოღვაწეობის ერთს მთავარ სარბიელთაგანს მერმინდელი არმენიის ტერიტორიაზე უჩვენებდა თითქოს. ყველაზე ადრინდელი, შენახულთა შორის, ცნობები ამ საგანზე (IV ს., ძვ. წ.) დაკულია სტრაბონთან. თუ ზოგი ადგილიდან ისე გამოდის რომ იასონის სალოცავები საგულისხმებელია არა ერთს ქვეყანაში, ერთგან სტრაბონი თითქოს ხაზმოსმით აღნიშნავს იასონის სალოცავების არსებობას არმენიაში, როგორც ლაშქრობის მოწმობას (XI, თ. XIII, § 10). განსაკუთრებით საყურადღებოა თხრობა რომ ძველად არმენიის არაქს არ ჰქონდა გასავალი და ტბად იდგა ბარში, ხოლო შემდეგ იასონმა გაუჭრა მას კალაპოტი ტემპეს ხეობის (თესალიაში) მსგავსად (XI, თ. XIV, § 13), რაც საყურადღებო მითოლოგიურ ელემენტს შეიცავს... აქაც წინააღმდეგობა მოჩვენებითია: გარკვეულია, რომ არაქსის ხეობა ძველად სასპერ-იბერებს უჭირავთ... კიდევ ერთი მომენტი, შესაძლოა, აბრკოლებდა ძველებს. სქემის ეთნარქების უმრავლესობა ხალხური ეტიმოლოგიით შექმნილი ეპონიმებია: მედეა-მედი—მედიისაგან, არმენი—არმენიისაგან... იასონი ასეთ მიმართებაში არ დგას არც ხალხისა და არც ქვეყნის სახელთან. მაგრამ ჩვენთვის ეს იმის ნიშანია რომ სქემაში იასონი ყველაზე ძველია და ყველაზე, თუ შეიძლება ითქვას, „ისტორიული“...

გარდმოცემა ადგილობრივი იყო (ჰეროდოტე, ტაციტი, აპიანე), ჩვენ კი ნაჩვენები გვაქვს, რომ „ადგილობრივ“ იგი მხოლოდ ქართულმა საისტორიო მწერლობამ შეინახა თქმულებაში არიან-ქართველთა მეფისძის აზოს შესახებ [1], რომელიც მიჩნეულია მამათმთავრად ქართლის (მცხეთის) სამეფო სახლისა. ეს გარემოება ამტკიცებს ჩვენს შეხედულებას აზო-იასონის ნამდვილროლზე თქმულებაში: იგი თავდაპირველად მხოლოდ სასპერ-იბერების ეთნარქია...

აქ ჩვენ სპეციალურად გვინტერესებს ტერიტორიული შინაარსი ცნებებისა „არენია“ და „სისპირიტიდა“. ამ მხრივ თქმულება ეკუთვნის წინაელის-

ტურ ხანას, როცა სომხები სამხრეთში ბინადრობენ და არც არტაქსია-ზარი-ადრის, არც ტიგრანის ექსპანსია ჯერ განხორციელებული არ არის: აკილისენა და სისპირიტიდა არმენისაგან ცალკე დგანან, მათ საკუთარი ეთნარქები ჰყავთ, მაშინ როცა I საუკუნისათვის ისინი სომხეთის პროვინციებია. თითქოს იმისთვის რომ ეჭვი არ დარჩეს ამ ძველი პოლიტიკური გეოგრაფიის ნამდვილი ვითარების გამო, სტრაბონი ამბობს: „არმენის თანამგზავრთაგან ზოგთ დასახლეს აკილისენა, ... ხოლო სხვებმა—სისპირიტიდა კალახენასა და ადიაბენამდე, არმენიის საზღვრებს გარეთ“ (XI, თ. XIV, §§ 12—13). აქ პირდაპირ არის აღნიშნული რომ ეს ორი ქვეყანა, თქმულების დროისათვის, არმენიის საზღვრებს გარეთ მდებარეობს. თანაც ამავე ციტატაში ნაჩვენებია, და ეს განმეორებულია XI, თ. IV, § 8-ში, რომ სისპირიტიდას ემიჯნებოდნენ, იმავე ხანაში, კალახენა და ადიაბენა, რომელთა მდებარეობა გარკვეულია სტრაბონისავე მიერ (XVI, თ. I, § 1, §§ 18—19): ისინი „ასირიელთა“ ანუ ბაბილონიის ნაწილებია, საკუთრივ ადიაბენა-კი ტავრის ანუ, უფრო ნიშანდობლივ — მასის ქედს ემიჯნება სამხრეთიდან, ხოლო მდინარე ტივრს—აღმოსავლეთიდან. სპეციალურ ლიტერატურაშიაც მას არბელასა და ქურთისტანის მთებს შორის უჩვენებენ ([2], გვ. 89).

ამრიგად გარკვეულ ხანაში სისპირიტიდა სამხრეთისაკენ ვრცელდებოდა ძალიან შორს, ტავრის ქედამდე—მასის მთამდე. მისი გავრცელების არეზე ჩრდილოეთისაკენ ნაწილობრივ მიუთითებს ჰოროზის ხეობის სისპირიტიდა-სპერი, მთელის გარდმონაშთული ნაწილი! ეხლა უფრო გასაგებია ჰეროდოტეს ცნობები სასპერებზე, წინა აზიის ოთხი უდიდესი ხალხიდან ერთზე, რაც უკვე განმარტებული გვქონდა ([1], გვ. 655—660). უფრო დამაჯერებელი ხდება აგრეთვე ჩვენი ლოკალიზაცია იბერების მიერ II ს-ში დაკარგული პროვინციებისა [3]. სინათლე ეფინება სტრაბონის სხვაფრივ გაუგებარ ცნობასაც რომ სომხეთის მეფემ ტიგრანმა დააარსა ქალაქი ტიგრანოკერტა იბერიის მახლობლად, იბერიასა და ევფრატზე მდებარე ზეგმატას შორის (XI, თ. XIV, § 15), რაც იბერიის სამხრეთ საზღვარს აგრეთვე ტავრის მთიანეთში გულისხმობს...

... ეთნარქების თესალიურ იწარმოება ინტერესს იწვევს იმდენად, რამდენადაც თესალია პელაგების ბუდედ არის მიჩნეული... მაგრამ თქმულება, თავისი საერთო ხასიათის მიხედვით, უპასუხებს სახელმწიფოებრივი და კულტურული ისტორიის დასაწყისის საკითხებს უფრო მეტად ვიდრე ეთნოგენეზისას... სარწმუნოა რომ ამ იდეოლოგიურ კონსტრუქციას, „კავშირები ერთა და სახელმწიფოთა შორის“, რეალურ საფუძველს უქმნიდა ისეთი ისტორიული სიტუაციები, რომელთაგანაც ერთმა შესაძლო გახადა კავკასიურ სახელმწიფოთა კოალიცია რომის წინააღმდეგ I ს., ძვ. წ... და უკანასკნელ: რომ ქართველობას ჰქონდა ისტორიული ტრადიცია ანტიკურ ხანაში, ამის ფაქტიური საბუთია არმაზის მითრიდატისეული წარწერა, რომელიც, გ. წერეთლის გამოკვლევით, ისტორიულ თხრობას შეიცავს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 ისტორიის ინსტიტუტი

(შემოვიდა რედაქციაში 5.4.1943)

Академик С. Н. ДЖАНАШИА

АНТИЧНАЯ СХЕМА КАВКАЗСКИХ ЭТНАРХОВ И ЭПОНИМОВ

Резюме

Сравнительно-критическое изучение сообщений античных авторов (Геродот, Диодор, Страбон, Мела, Плиний, Трог, Тацит, Аппиан...) устанавливает существование дофеодальной, дохристианской схемы этнархов и эпонимов народов Кавказа и прилежащих с юга стран, которая построена не на библейских генеалогиях и по которой предводитель аргонавтов Иасон является этнархом иберов, тех же сасперов, Армен—эпонимом армян, Мед (или Медея с Медом)—эпонимом мидян и т. д. Сказание в основных чертах сложилось в доэллинистическую эпоху и было местного происхождения (Геродот, Тацит, Аппиан), на месте же сохранилось лишь в древне-грузинской исторической литературе: по этому национальному преданию, родоначальником древней восточно-грузинской (иберийской) царской династии является царевич Азо, сын царя ариан-картвелов. В данной статье специально обсуждаются указания предания, относящиеся к географическому содержанию понятия Сиспиритида (страна-государство сасперов, позднейших иберов). По сообщению источников, современных Александру Македонскому и цитированных у Страбона, Сиспиритида, заселенная одним из спутников Армена (Иасоном!), есть страна, простирающаяся «до Калахены и Адиабены, вне пределов Армении». Здесь отражено политическое положение доэллинистической эпохи: Сиспиритида ограничивается с юга Тавром; в эпоху же самого Страбона Сиспиритида составляла уже провинцию Армении. Данный вывод проливает новый и значительный свет на сообщение Геродота, по которому сасперы являются одним из четырех величайших народов Передней Азии [1], а также на результаты разысканий автора по вопросу о локализации утерянных иберами, в первой половине II в. до н. э., провинций [3].

Академия Наук Грузинской ССР
 Институт истории
 Тбилиси

დავითმეგობრივი ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ს. ჯანაშია. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველ-საცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე. „ენიკი“-ს მოამბე, ტ. V—VI, 1940.
2. H. Kiepert. Manuel de géographie ancienne. P. 1887.
3. ს. ჯანაშია. პარიადრი, სკიდისი, მონხური მთები, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, № 6, 1942.



აკადემიკოსი ა. შანიძე

აქტივი და პასივი ერთუბრთის მიმართ მრავალ-პირიანი
ზმნის ჩვენებით

ქართველურ ენათა ზმნას, როგორც მრავალ-პირიანს (პოლიპროსოპულს) და მდიდარს ფორმებით (მათ შორის გვარის ფორმებითაც), განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გვარის კატეგორიის დადგენისათვის საზოგადოდ და კერძოდ აქტივ-პასივის ურთიერთობის გარკვევისათვის. უკანასკნელი საკითხის გადასაწყვეტად მაგალითებს ამ წერილში მარტოოდენ ქართულიდან მოვიყვან. თავიდანვე უნდა შევჩერდე იმ მოვლენაზე, რომელსაც კონვერსიის სახელით აღვნიშნავ.

კონვერსია. ურთიერთობა მოქმედებით გვარსა და ვნებითს შორის ანუ აქტივსა და პასივს შორის ისეთია, რომ ერთი წარმოადგენს მეორის მობრუნებულ სახეს. ამიტომ ერთი გვარიდან მეორეში გადაყვანა არსებითად არის ფორმის მობრუნება ანუ კონვერსია (მოქცევა). თუ გამოსავლად მოქმედებით გვარს მივიღებთ, ვნებითი იქნება მისი მობრუნებული სახე, ხოლო თუ გამოსავლად ვნებითს მივიჩნევთ, მაშინ, პირუკუ, მოქმედებითი აღმოჩნდება ვნებითის მობრუნებული სახე.

ქართული ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა. თანაც ცოტაა ისეთი ვნებითი ზმნები, რომელთაც სათანადო მოქმედებითი არ მოეპოვება. თუ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ზოგმა ენამ (მაგ., აფხაზურმა) ვნებითი გვარის ფორმები არც კი იცის, კონვერსიის საკითხების გარჩევისას უნდა გამოვიდეთ მოქმედებითიდან. გვექნება: ვნებითი გვარის ფორმები არის მობრუნებული სახე მოქმედებითისა, ანუ, რაც იგივეა, პასიური ფორმა აქტიურის კონვერსიული სახეა.

მობრუნებას (მოქცევას) ანუ კონვერსიას გარკვეული შედეგი მოსდევს ორი პირისათვის: სუბიექტურისა და პირდაპირ-ობიექტურისათვის.

კონვერსია და სუბიექტური პირი. პირის დაკლება. ის პირი, რომელიც სუბიექტურია მოქმედებითში, გვარის მობრუნების დროს კი არ გადაჰყვება ვნებითში, არამედ დაიკარგება სრულიად. ამიტომ პირთა რაოდენობა მუდამ ერთით ნაკლებია ვნებითში, ვიდრე სათანადო მოქმედებითში. სახელდობრ: სამ-პირიანი ზმნა ორ-პირიანად იქცევა და ორ-პირიანი—ერთ-პირიანად.

მაგალითები სამ-პირიანობაზე: კოკა გაუტეხა—კოკა გაუტყდა, სახლი აუშენა—სახლი აუშენდა, გული გაუხეთქა—გული გაუსქდა, ძმა წაჰკიდა—ძმა წაეკიდა, სიტყვას დააწერს—სიტყვა დაეწერე-

ბა. მოყვანილ მაგალითებში მოქმედებითი გვარის ფორმები ყველა სამ-პირი-ანია (გაუტება, აუშენა, გაუხეთქა, წაჰკიდა, დააწერა), სათანადო ვნებითისა კი — ორ-პირიანი (გაუტყდა, აუშენდა, გაუსქდა, წაეკიდა, დაეწერება).

მაგალითები ორ-პირიანობაზე: კოკა გატეხა—კოკა გატყდა, სახლი ააშენა—სახლი აშენდა, გული გახეთქა—გული გასქდა, სიტყვას დაწერს—სიტყვა დაიწერება. ამ მაგალითებში მოქმედებითი გვარის ფორმები ყველა ორ-პირიანია (გატეხა, ააშენა, გახეთქა, დაწერს), სათანადო ვნებითისა კი—ერთ-პირიანი (გატყდა, აშენდა, გასქდა, დაიწერება).

რომ ყველაფრად ნათელი იყოს საქმის ვითარება კონვერსიის დროს, საანალიზოდ ავიღოთ მოყვანილ მაგალითთაგან ეს წყვილი: „კოკა გატეხა“ და „კოკა გატყდა“, თანაც გავავრცოთ პირველი წინადადება ქვემდებარით: „ბიჭმა კოკა გატეხა“, ორ-პირიან „გატეხა“ ფორმას ორი სახელი ეფარდება: „ბიჭი“ და „კოკა“, რომელთაგანაც ერთია სუბიექტი ანუ ქვემდებარე („ბიჭმა“), მეორე კი—პირდაპირი ობიექტი („კოკა“). ვნებითად რომ შემოვარბუნოთ ეს ფრაზა, ამას მივიღებთ: „კოკა გატყდა“, სადაც ზმნა ერთ-პირიანია და მის შესაფერისად ფარდი სახელი ერთილია: „კოკა“. მაშასადამე, კონვერსიის ძალით დაიკარგა სუბიექტური პირი და მისი ფარდი სახელი („ბიჭმა“), მივიღეთ ერთ-პირიანი ზმნა, რომელსაც ფარდად ერთი სახელი აქვს: „კოკა“. როცა გავიგონეთ: „ბიჭმა კოკა გატეხა“-ო, მივხვდით, თუ ვინ არის მოქმედების ჩამდენი და რა არის ამ მოქმედების საგანი, ე. ი. ვინ არის გამტეხი და რა არის გატეხილი, ხოლო როცა თქვეს „კოკა გატყდა“-ო, ის გავიგეთ მხოლოდ, რომ კოკას იგივე საქმე მოუვიდა, რაც პირველ შემთხვევაში (როცა თქვეს: „ბიჭმა კოკა გატეხა“-ო), ოღონდ განსხვავება ის არის, რომ ეხლა უკვე არ ვიცით, თუ ვისგან გამომდინარეობს კოკის გატეხა.

სუბიექტური პირის დაკარგვა კონვერსიის დროს არ ნიშნავს, რომ ვნებითში სუბიექტური პირი არ იყოს. არა, ვნებითში სუბიექტური პირი არის, მაგრამ მას მოქმედებითში სხვა პირი შეესატყვისება, როგორც ამას ეხლავე ვნახათ.

კონვერსია და პირდაპირი. მოქმედებითი გვარის ფორმის ვნებითში გადაყვანის დროს ის პირი, რომელიც აქტივში პირდაპირ-ობიექტურია (ანუ, შემოკლებით, რომელიც პირდაპირია), სუბიექტური ხდება პასივში: ეს შემდეგს ნიშნავს: რაც პირდაპირს მოსდის სუბიექტური პირისაგან აქტივში, იმას სუბიექტური პირი თვითონვე განიცდის პასივში. მაგალითები ჩემულ-მისეულზე: მაშენებს—ვშენდები, მამკობს—ვიმკობი, მმალავს—ვიმალები, მათბობს—ვთბები და სხვა. „არსენი კათალიკოსმან... საყდარი მამათმთავრობისაჲ შეამკო სრულიად და შეიმკო მადლითა“ («ცხოვ. გრ. ხანძთ.», 42, 167). „შეამკო“ აქტივია და ორ-პირიანი, „შეიმკო“ კი—პასივი და ერთ-პირიანი. ისინი ერთმანეთის კონვერსიული ფორმებია: (რაც პირველ შემთხვევაში ობიექტს მოსდის სუბიექტისაგან (საყდარს არსენისაგან), იგივე მოსდის მეორე შემთხვევაში სუბიექტს (არსენის), რომელზედაც ნათქვამია „შეიმკო“-ო, მაგრამ იმის აღუნიშნავად თუ ვისგან. ასეთივე მაგალითია აქაც: „ჩვენ მივართვით, მათ გვიბოძეს, ავაავსენით, ავივსენით“ («ვეფხისტყა.», 1124). „ავავსენით“—ჩვენ ემოქმედებთ



სხვებზე; „ავივსენით“—ჩვენვე მოვგდის ის, რაც პირველ შემთხვევაში სხვებს ემართება ჩვენგან.

თუ პასიურ ფორმას აქტიურად ვაქცევთ, მაშინ, პირუკუ, სუბიექტური პირი პასივისა აქტივში პირდაპირ-ობიექტური გახდება. თავისთავად ცხადია, რომ ზმნის ფორმას ერთი პირი მოემატება. ოღონდ აქტივში სუბიექტურ პირთაგან რამდენიმეა შესაძლებელი: I-თან II და III, II-თან I და III, III-თან კი ყველა. მაგალითები: ვიმაღლები—მმაღავს, ვიტანჯები—მტანჯავს, ვთბები—მათბობს და მისთ. (ან: ვიმაღლები—მმაღავ, ვიმაღლები—მმაღავთ, ვიმაღლები—მმაღვენ). „მაგით რჩებოდა ის და არჩენდა თავის ცოლსა“ (ი. ჭავჭავაძე, «გლახ. ნაამბ.»)— „რჩებოდა“ პასივია, ერთ-პირიანი, „არჩენდა“ კი—აქტივი, ორ-პირიანი; ისინი ერთმანეთის კონვერსიული ფორმებია. სიზუსტე რომ დავიცვათ, უნდა ვთქვათ: „რჩებოდა“ არის III სუბიექტური პირის ფორმა; ამიტომ ის კონვერსიული სახეა ყველა იმ კომბინაციისა, სადაც III პირი პირდაპირი ობიექტია: ვარჩენდი, არჩენდი, ვარჩენდი, ვარჩენდი, არჩენდი, არჩენდი.

რომ პასივის სუბიექტი აქტივის პირდაპირი ობიექტია, ამას უცილობლად ის მორფოლოგიური ფაქტი ამტკიცებს, რომ სუბიექტური პირის ფორმები პრეფიქსიან ვნებითს ძველ ქართულში იმგვარადვე აქვს ნაწარმოები, როგორც პირდაპირ-ობიექტური პირის ფორმები სათანადო მოქმედებითს, რასაც თვალსაჩინოდ შემდეგი მაგალითი გვიჩვენებს⁽¹⁾:

აქტივი	პასივი
მხ. 1. აღმზარდა	მხ. 1. აღვიზარდე
2. აღგზარდა	2. აღზარდე
3. აღზარდა.	3. აღიზარდა
მრ. 1. აღმზარდ-ნ-ა (*აღმზარდ-ენ-ა)	მრ. 1. აღვიზარდ-ენ-ით
2. აღგზარდ-ნ-ა (*აღგზარდ-ენ-ა)	2. აღიზარდ-ენ-ით
3. აღზარდ-ნ-ა (*აღზარდ-ენ-ა).	3. აღიზარდ-ენ-ეს (*აღიზარდ-ენ-ეს)

მაშასადამე, პასივის ფორმები სუბიექტური პირებისათვის აქტივის იმ ფუძეს ეყრდნობა, რომელიც პირდაპირ ობიექტს სათანადო რიცხვში გულისხმობს: მხოლობითში—მხოლობითისას, მრავლობითში—მრავლობითისას. ეს დამთხვევა არ არის შემთხვევითი: ის გვიჩვენებს ამ პასივის წარმოშობის გზებს.

კონვერსია და ირიბი. აქტივის პასივად გადაკეთების დროს ირიბ-ობიექტურ პირს (შემოკლებით: ირიბს) არა მოუყარა, —ის თავის ალავას დარჩება, ოღონდ, რა თქმა უნდა, აქტიური ფორმა უთუოდ სამ-პირიანი უნდა იყოს, რომელიც პასივში ორ-პირიანი გახდება: ბავშვს კოკა გაუტყეხეს—ბავშვს კოკა გაუტყდა; სახლი ამიშენა—სახლი ამიშენდა; გუშინ რომ საქმე მო-

⁽¹⁾ არსებითად თვითეული სუბიექტური პირის ფორმა პასივში კონვერსიული სახეა არა ერთი აქტიური ფორმისა, არამედ რამდენიმესი, რომლებიც ერთნაირია ობიექტური პირის მიხედვით, მაგრამ სუბიექტურ პირთა მიხედვით განსხვავდებიან. ოღონდ აქ მხოლოდ ერთი მათგანია მოყვანილი.

მან დე—გუშინ რომ საქმე მომენდო; კარგი ამბავი გულს მოგფხანს—
 კარგი ამბისაგან გული მოგფხანება და მისთანანი. აქ აქტიური ფორმე-
 ბი ყველა სამ-პირიანია, მათი პასივი კი—ყველა ორ-პირიანი, რასაც მათ-მათი
 საგუებლები გამოაჩენს: გაუტეხეს (მათ მას იგი)—გაუტყდა (მას იგი), ამიშენა
 (მან მე იგი)—ამიშენდა (მე იგი), მომანდე (შენ მე იგი)—მომენდო (მე იგი),
 მოგფხანს (იგი შენ მას)—მოგფხანება (იგი შენ).

კონვერსია და პირთა ურთიერთობა საზოგადოდ (ზემორე თქმულის მი-
 ხედვით პირთა ურთიერთობა კონვერსიის შემთხვევაში ასე გვეხატება: როდე-
 საც აქტივის ფორმა პასივში გადაგვყავს, აქტივის სუბიექტური პირი იკარგე-
 ბა, პირდაპირი სუბიექტურად იქცევა, ირიბი კი ირიბადვე რჩება. აქედან და-
 სკვნა: კონვერსიის საკითხი არსებითად ორი პირის საკითხია: სუბიექტურისა
 და პირდაპირ-ობიექტურისა.

მაშასადამე, გვარი—ეს არის საშუალება, რომელიც მოეპოვება ენას, რომ
 პირის დამოკიდებულება მოქმედებისადმი ორგვარად ასახოს: ერთი ისე, რომ
 რომელიმე პირი (I, II, III) მოქმედების ობიექტად იქნეს გამოყვანილი, მეორე
 კი ისე, რომ იგივე პირი ამ მოქმედების მიმართ სუბიექტად იქნეს წარმოდგე-
 ნილი. ეს დებულება ნათელი იქნება სათანადო სახელთა შეწყობით ზმნის ფორ-
 მასთან: „ძაღვები მიუხსიეს მგელს“,—აქ ფორმა აქტივია, „ძაღვები“ პირ-
 დაპირ ობიექტად არის გამოყვანილი; „ძაღვები მიესივნენ მგელს“—აქ კი
 ფორმა პასივია და „ძაღვები“ სუბიექტად არის წარმოდგენილი.

კონვერსიის აუცილებელი პირობა. ქართული ზმნის პოლიპროსოპიისა და
 მრავალნაირ ფორმათა არსებობის გამო ზოგჯერ ძნელია ფორმის ერთი გვა-
 რიდან მეორეში სწორად გადაყვანა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ენებითი ორ-
 პირიანია. ავიღოთ ასეთი მაგალითი: „სიკვდილსაც ისე დავავიწყდი, რო-
 გორც კაცსა“ (ი. ჭავჭავაძე, „გლახ. ნაამბ.“).—აქ „დავაიწყდი“ პასივია. ეს ზმნა რომ
 აქტივში გადავიყვანოთ, წინადადებაში თითქო ასეთი სახე უნდა მიიღოს: „სიკვ-
 დილმაც ისე დამივიწყა, როგორც კაცმა“. მაგრამ, კარგად თუ დავუკვირ-
 დებით, აღმოჩნდება, რომ საქმე აგრე არ არის: „დავაიწყდი“ ორ-პირიანი
 ფორმაა (დავაიწყდი მე მას), ორ-პირიანია აგრეთვე „დამივიწყა“-ც (მან
 მე). მაგრამ, როგორც ვიცით, კონვერსიამ განსხვავება უნდა მოგვეცეს პირთა
 რაოდენობაში: ორ-პირიანი პასივი სამ-პირიანად უნდა იქცეს აქტივში, ორ-პირ-
 იანი აქტივი კი ერთ-პირიანი უნდა გახდეს პასივში. „დავაიწყდი“ და „და-
 მივიწყა“ კი ერთმანეთს შორის ასეთ ურთიერთობას ვერ გვიჩვენებენ, მაშასა-
 დამე, ისინი არ შეიძლება იყვნენ ერთურთის კონვერსიული ფორმები. მართ-
 ლაც: „დავაიწყდი“—ამისი ერთ-ერთი კონვერსიული ფორმაა აქტივში „დამა-
 ვიწყეს“ ასეთი საგუებლებით: მათ მე მას, ე. ი. ასეთი ვაგებით: ჩემი თავი და-
 ვიწყეს მას (ვთქვათ სიკვდილს, კაცს), სადაც I ობიექტური პირი პირდაპირია,
 III ობიექტური კი—ირიბი. ასეთი პირდაპირი ცვალებადია და ასეთი ირიბი—
 უცვლელი, რაც იშვიათი მოვლენაა ([1], § 194); ჩვეულებრივ კი აქტივში ცვა-
 ლებადად ირიბი გვხვდება, უცვლელად—პირდაპირი: დამავიწყეს (მათ მე იგი),
 დავავიწყეს (მათ შენ იგი), დავიწყეს (მათ მას იგი) და შემდგომი. მაშასადა-
 მე, „დამავიწყეს“ ფორმა „ომოიღია“,—ის ორნაირ ვაგებას შეიცავს:

a) დამავიწყეს—მათ მე მას; ამისი ვნებითა: დავავიწყდი (მე მას);

b) დამავიწყეს—მათ მე იგი; ამისი ვნებითა: დამავიწყდა (მე იგი).

რაც შეეხება „დამივიწყა“ ფორმას, რომელიც ორ-პირიანია და მოქმედებითი, მას არ მოეპოვება თავისი ცალი ვნებითში (მოსალოდნელი იყო: დავვიწყდი), აღწერილობით კი ასე გადმოიცემა: „დავიწყებულ ვიქმენ“.

ამიტომ კონვერსიის დროს აუცილებელი პირობაა, რომ განსხვავება იყოს პირთა რაოდენობის მხრივ. თუ ეს პირობა დარღვეულია, ცხადია, ორი ფორმა ერთისა და იმავე ფუძისა,—ერთი გარდამავალი, მეორე გარდაუვალი,—ერთურობის მიმართ კონვერსიული ვერ იქნება. თუ ორპირიანი ვნებითი გვაქვს და სათანადო სამ-პირიანი მოქმედებითი არა, ეს ნიშნავს, რომ მას ცალი აქლია.

კონვერსია და ინვერსია. როგორც დავრწმუნდით, კონვერსია გულისხმობს ფორმის იმგვარად შეცვლას, რომ პირდაპირ-ობიექტური პირი სუბიექტურად იქნეს წარმოდგენილი. რაც შეეხება ინვერსიას, ის გულისხმობს პირის ნიშნების შეცვლას ერთისა და იმავე რომლობითი პირის გამოხატავად: სუბიექტურ პირს ობიექტურ-ნიშნიანი ფორმა გამოხატავს და ობიექტურ პირს—სუბიექტურ-ნიშნიანი ([1], §§ 238—241). რადგანაც კონვერსია მიგვითითებს როლების გაცვლაზე პირდ-ობიექტურსა და სუბიექტურ პირს შორის, შეიძლებოდა დავგვესკვნა, რომ ამას სათანადო ნიშანთა გაცვლა-გამოცვლა უნდა მოჰყვესო, ე. ი. პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშნები ვნებითში სუბიექტურის ფუნქციით უნდა აღიჭურვოსო, მაგრამ არა! კონვერსია სხვაა და ინვერსია სხვა:

a) კონვერსიას ყველა სერიაში აქვს ადგილი, ინვერსიას კი—მხოლოდ მესამეში;

b) კონვერსია გულისხმობს როლების გაცვლას პირდაპირ-ობიექტურსა და სუბიექტურ პირს შორის, ინვერსია კი—როლების გაცვლას ირიბ-ობიექტურ ნიშნებსა და სუბიექტურებს შორის ([1], § 240, გვ. 190, უკანასკნელი აბზაცი).

ასე რომ კონვერსია და ინვერსია არა თუ არ ემთხვევიან ერთმანეთს, არამედ სულ სხვადასხვა მოვლენას აღნიშნავენ ენაში. ეს არის მიზეზი, რომ სახელიც სხვადასხვა ეწოდა მათ: ერთს კონვერსია, მეორეს ინვერსია.

ქართულის შედარება სხვა ენებთან აქტივ-პასივის ურთიერთობის საკითხში. აქტივ-პასივი რომ ერთმანეთის კონვერსიული სახეა, ეს ისეთი ენებიდანაც კარგად ჩანს, სადაც ზმნა საზოგადოდ ერთ-პირიანია. მაგალითად, არაბული ზმნა „კათალა“ აქტივია («კათალა ზადუნ რაჯულან»—ზაიდმა კაცი მოკლა), ხოლო მისი შესატყვისი პასივი იქნება: „კუთილა“ («კუთილა რაჯულან»—კაცი მოიკლა=კაცი მოკლეს). აქტიური „კათალა“ და პასიური „კუთილა“,—ერთ-პირიანი ზმნებია ორნივე, მაშასადამე, პირთა რაოდენობის მხრივ მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის. ასეთივე ვითარებაა ლათინურშიც (ornat „ამკობს“, ornatur „იმკობა“), რუსულშიც (строит „აშენებს“, строится „შენდება“) და სხვა ენებშიც, რომელთაც მრავალ-პირიანობისა არა

იციან რა. ასეთ ენებში მორფოლოგიური განსხვავება აქტივსა და პასივს შორის დამყარებულია მარტოოდენ იმაზე, რომ მოქმედებითი გვარის ფორმათა საპირისპიროდ სხვა ფორმები მოიპოვება, რომელთაც ენებითის შინაარსი აქვთ. ქართულში კი ამას პირთა რაოდენობის გარჩევაც ახლავს: აქტივი ყოველთვის ერთი პირით მეტია სათანადო პასივზე⁽¹⁾.

ეს ეხება I-ისა და II სერიის მწკრივთა ფორმებს. რაც შეეხება III სერიის მწკრივებს, მათ აქტივ-პასივის ფორმები სხვაგვარად აქვთ დაპირისპირებული, ვიდრე პირველ ორ მწკრივში, რაც III სერიის ფორმათა ისტორიით აიხსნება. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

თბილისი

(რედაქციაში შემოვიდა 31.3.1943)

ИЗЫКОВЕДЕНИЕ

Академик А. Г. ШАНИДЗЕ

АКТИВ И ПАССИВ В ИХ ОТНОШЕНИЯХ ДРУГ К ДРУГУ ПО ПОКАЗАНИЮ ПОЛИПРОСОПНОГО ГЛАГОЛА

Резюме

Картвельский глагол, как полипросопный и богатый формами, в том числе залоговыми, имеет исключительное значение для установления грамматической категории залога вообще, в частности для уяснения отношений между действительным и страдательным залогом.

Отношения между активом и пассивом таковы, что один представляет собой обратную сторону другого. В виду того, что основным из них, по многим признакам, является актив, надо признать, что пассив является оборотом актива или, что то же, форма страд. залога является конверсией формы действ. залога.

Перевод глагольной формы из действительного залога в страдательный влечет за собой определенные последствия для двух лиц — субъектного и прямообъектного: субъектное устраняется, а прямообъектное превращается в субъектное. Что же касается косвеннообъектного лица, то оно, если только имеется в форме (а может иметься только в случае трехличности действительного залога), остается на своем месте. Устранение субъектного ли-

(1) „ამკობს“ ზუსტად ვერ გადმოგვემს ლათ. ornat ფორმას, რადგანაც ლათ. ფორმა რთ-პირიანია, ქართული კი—რთ-პირიანი. ასეთივე ურთიერთობაა | რუს. строит-სა და ქართ. აშენებს“ შორისაც.



ца ведет к уменьшению количества лиц, поэтому в пассиве количество лиц всегда одним меньше, чем в соответствующем активе: трипросопная (трехличная) активная форма, заключающая, кроме субъектного лица, два объектных (прямое и косвенное), в страдательном залоге превращается в дипросопную (двухличную), заключающую в себе субъектное и косвеннообъектное лица, а дипросопная (двухличная) активная форма с субъектным и прямообъектным лицами дает монопросопную (одноличную) пассивную, имеющую лишь субъектное лицо.

То обстоятельство, что субъект пассива представляет собой прямой объект актива, находит свое морфологическое выражение в том, что субъектные формы префиксального пассива в древнегрузинском, опираясь на прямообъектные формы актива, выявляют аффикс *en* во множ. числе: აჴ-m-zard-a (он меня воспитал) дает აჴ-v-i-zard-e (я был воспитан), но აჴ-m-zard-n-a (из აჴ-m-zard-en-a он нас воспитал) обращается в აჴ-v-i-zard-en-it (мы были воспитаны).

Тот факт, что актив и пассив в отношениях друг к другу являются конверсионными формами, хорошо виден и из таких языков, где глагольные формы монопросопны. Так, напр., арабские формы *qatala* (он убил) и *qutila* (он был убит) в отношении количества лиц, заключающихся в них, вполне одинаковы—обе одноличны, тогда как в залоговом отношении различны. Таково же положение в латинском (*ornat--ornatur*), в русском (*строит--строится*) и в других языках, которым полипросопия чужда. В этих языках залоговые различия основываются лишь на сосуществовании оппозиционных форм, противопоставляющихся друг другу в конверсионном отношении, устанавливаемом функцией этих форм. В картвельских языках в частности в грузинском, к этому добавляется еще количественное различие лиц: активная форма всегда одним лицом больше, чем соответствующая пассивная.

Кроме того, в статье указывается, что конверсия (отношение формы страдательного залога к действительному) не находит своей параллели в инверсии, т. е. свойстве картвельского глагола образовывать в III серии скрив [2, 3] активные формы, по типу и происхождению пассивные, путем замены субъектных показателей объектными, но не прямыми, а косвенными.

დამოწმებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. ა. შანძიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები. ნაკვ. I, 1942.
 2. А. Шанидзе. Категория ряда в глаголе. Общие вопросы формообразований глаголов на примерах груз. языка. Изв. ИЯИМК, X, 1941, стр. 209—229
 3. А. Шанидзе. Изменение системы выражения глагольной категории вида в грузинском и его последствия. Сообщения АН Груз. ССР, т. III, 1942, № 9, стр. 953—958.
-

ПИСЬМО В РЕДАКЦИЮ

В статье «Об изгибе пластинки со свободным краем» (Сообщения АН Груз. ССР, т. III, № 7, 1943) я доказал, что задача об изгибе поперечной силой пластинки со свободным краем сводится к определенной плоской задаче статической теории упругости с заданными на контуре смещениями. Недавно я обнаружил, что этот факт был отмечен еще раньше С. Г. Лехницким в статье «О некоторых вопросах, связанных с теорией изгиба тонких плит» (Прикладная математика и механика, т. II, № 2, 1938).

Отмечу, однако, что в моей статье кроме этого результата содержится исследование вопросов эквивалентности и разрешимости указанных задач, а также выясняется степень неопределенности решения.


Илья Веква.

ERRATA

We regret to announce that for reasons not depending on the author the G. Shajn's paper «The K -term and the Hypothesis of Outward Motion of Matter», IV, № 2, 1943, pp. 123—129 has undergone some sad alterations. A list of the main errata is given below.

should be substituted:

p. 123	line 3: As belongs	As to
123	" 15 exactly	properly
123	" 21 atmospherical height	the height in the atmosphere
123	" 23 possessing ultimate lines	whose ultimate lines are
124	" 7 with temperatures of	at the temperature
124	" 12 quite definite	definite
124	" 35 taking the interstellar absorption	taking into account the interstellar absorption,
125	" 15 in view	in mind
125	" 18 type σ	type O
126	" 12 the supergiants $\sigma A7 - \sigma K5$.	the supergiants $\sigma B0 - \sigma B5$ and $\sigma A7 - \sigma K5$
126	" 29 ot to wo	of two
126	" 38 L_{α}	L_{α}
127	" 5 justified	probably justified
127	" 8 As belongs	As to
127	" 22 the error probability	the probable error
127	" 41 in a later work	in this work
128	" 33 remarkable	sensible
128	" 39 Abastumani	Simeis, Abastumani



Ответственный редактор акад. Н. И. Мухелишвили

Подписано к печати 6.7.43. Печатных форм 6,5. Авторских форм 9.
Колич. тип. зн. в 1 печ. листе 52.000. УЭ 6770. Заказ № 332. Тираж 600 экз

Типография Академии Наук Грузинской ССР. Тбилиси, ул. А. Церетели, 7

ბოტანიკა—БОТАНИКА—BOTANY

Е. А. Макаревская и К. М. Илуридзе-Молчан. Растворимая форма каталазы в черенках виноградной лозы	335
*ე. მაკარევსკაია და ქ. ილურიძე-მოლჩანი. კატალიზის ხსნადი ფორმა ვაზის კალამში	341
ქ. ილურიძე-მოლჩანი. მცნობის და საძირის გავლენა ფოთლის სტრუქტურაზე	343
*К. М. Илуридзе-Молчан. Влияние прививки и подвоя на структуру листа виноградной лозы	349

გენეტიკა—ГЕНЕТИКА—GENETICS

В. А. Менабде. К изучению процессов гибридизации между родами <i>Triticum</i> и <i>Agropyrum</i>	351
*ვლ. მენაბდე. <i>Triticum</i> და <i>Agropyrum</i> -ის გვართაშორისი ჰიბრიდიზაციის პროცესების შესწავლისათვის	358

ჰისტოლოგია—ГИСТОЛОГИЯ—HISTOLOGY


А. Д. Зурабашвили. Об эмбриональном развитии отростков нервных клеток спинного мозга птицы	359
*ა. ზურაბაშვილი. ფრინველის ზურგის ტვინის ნერვულ უჯრედთა მორჩების განვითარების შესახებ	365

ისტორია—ИСТОРИЯ—HISTORY

ს. ჯანაშია. კავკასიელ ეთნარქ-ეპონიმების ანტიკური სქემა	367
*С. Н. Джанашиа. Античная схема кавказских этнархов и эпонимов	374

ენათმეცნიერება—ЯЗЫКОВЕДЕНИЕ—LINGUISTICS

ა. შანიძე. აქტივი და პასივი ერთუბრთის მიმართ მრავალპირიანი ზმნის ჩვენებით	375
*А. Г. Шанидзе. Актив и пассив в их отношениях друг к другу по показанию полипросопного глагола	380
И. Векуа. Письмо в редакцию	383
Errata in the G. Shajni's paper «The K-term and the Hypothesis of Outward Motion of Matter»	383



ფასი 3 ლა.
ЦЕНА 3 РУБ.

7.184/9



УТВЕРЖДЕНО

Президиумом Академии Наук Грузинской ССР

8.4.1941 и 2.4.1942

ПОЛОЖЕНИЕ О «СООБЩЕНИЯХ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР»

1. В «Сообщениях» помещаются статьи научных работников Академии Наук Грузинской ССР и других ученых, содержащие сжатое изложение наиболее существенных результатов их исследований.

2. «Сообщениями» руководит Редакционная коллегия, избираемая Общим Собранием Академии Наук Грузинской ССР.

3. «Сообщения» выходят ежемесячно (в конце каждого месяца), за исключением июля и августа, выпусками около 6 печ. листов каждый. Совокупность выпусков за год (всего 10 выпусков) составляет один том.

4. Статьи печатаются на одном из следующих языков: грузинском, русском, французском, английском, немецком. Все статьи, кроме статей на грузинском языке, обязательно снабжаются резюме на грузинском языке. Статьи на грузинском языке обязательно снабжаются резюме на русском языке. Статьи могут быть также снабжены резюме на любом из вышеназванных языков, по желанию автора.

5. Размер статьи, включая резюме и иллюстрации, не должен превышать половины авторского листа (20 тыс. печ. знаков). Соотношение размеров основного текста и резюме определяется самим автором. В частности, резюме может быть заменено полным переводом, при условии, чтобы общий размер статьи и перевода не превышал указанной выше нормы.

6. Разделение статей на части для напечатания в различных выпусках не допускается.

7. Статьи, предназначенные к напечатанию в «Сообщениях», направляются в Редакцию, которая для авторов, являющихся действительными членами Академии Наук, лишь устанавливает очередность публикации. Статьи же остальных авторов, как правило, передаются Редколлегией для отзыва одному из действительных членов Академии Наук или же какому-либо другому специалисту по данной области, после чего вопрос о напечатании статьи решается Редколлекцией.

8. Статьи должны представляться автором в совершенно готовом для печати виде, вместе с резюме и иллюстрациями. Формулы должны быть четко вписаны от руки. Никакие исправления и добавления после принятия статьи к печати не допускаются.

9. Данные о цитируемой литературе должны быть возможно полными: необходимо указывать название журнала, номер серии, тома, выпуска, год издания, полное заглавие статьи; если цитируется книга, то необходимо указать полное заглавие, год и место издания.

10. Цитируемая литература должна приводиться в конце статьи в виде списка. При ссылке на литературу в тексте статьи или в подстрочных примечаниях, следует указывать номер по списку, заключая его в квадратные скобки.

11. В конце статьи и резюме авторы должны указывать, на соответствующих языках, местонахождение и название учреждения, в котором проведена работа. Статья датируется днем поступления в редакцию.

12. Автору предоставляется одна корректура в сверстанном виде на строго ограниченный срок (обычно не более суток). В случае невозвращения корректуры к сроку, редакция вправе печатать статью без авторской визы.

13. Авторы получают бесплатно 50 оттисков своей статьи и выпуск «Сообщений», содержащий эту статью.

Адрес редакции: Тбилиси, ул. Дзержинского, 8.